ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01232431867**
თარიღი: **31/08/2023**

ადრესატი: შპს ანაგი დეველოპმენტი 1
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404567713
მისამართი: ქ.თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა N37/39

თქვენი N10/0123208657-17 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 10.03.2023წ. N6362392 ბრძანებით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვის ვადა, ასევე ეტაპების რაოდენობა არ ემთხვევა AR1952538 განაცხადზე ატვირთულ მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის მიხედვით განსაზღვრულ მშენებლობის ვადას და ეტაპების რაოდენობას. ასევე მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკით ვერ დგინდება ყველა ეტაპის უფლებამოსილ ორგანოში წარდგენის ვადა, რადგან ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ,,შენობა-ნაგებობების მშენებლობის (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა) ეტაპის დასრულების შესახებ შედგენილი ოქმი, სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე, წერილობითი სახით უნდა წარედგინოს“ უფლებამოსილ ორგანოში, ხოლო AR1952538 განაცხადზე ატვირთულ მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი არ არის შედგენილი აღნიშნული წესით. შესაბამისად, უნდა მოახდინოთ ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორება, რომლის შემდგომაც მუნიციპალური ინსპექცია იმსჯელებს საეტაპო ოქმების სანებართვო პირობებით განსაზღვრულ ვადაში წარდგენის ვალდებულების შესრულების შესახებ.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია * 405026877 * 021 * მუნიციპალური სერვისების ამსახველი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი